გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №45
2020 წლის 9 ოქტომბერი

ქ. გორი

„გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №12 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 16/11/2017, 010260010.35.148.016396) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის „პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ) სამართალდარღვევის ოქმის ფორმის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 53^3, 55-ე, 55^2, 55^3, 55^6, 82^5 (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 119^1, 127^1 მუხლის მე-5 ნაწილის, 145-ე, 146^1, 148-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 ნაწილების, 150-ე, 150^1, 151-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, 152-ე, 152^2, 153^4, 159-ე, 159^1, 179^2 მუხლებისა და საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-80 მუხლის საფუძველზე და/ან უზრუნველყოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენელთა მიერ აღნიშნული საკითხების ორგანიზება.“

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-8 მუხლის „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) სამართალდარღვევის ოქმის ფორმის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 53^3, 55-ე, 55^2, 55^3, 55^6, 82^5 (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის ნაწილში), 119^1, 127^1 მუხლის მე-5 ნაწილის, 145-ე, 146^1, 148-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 ნაწილების, 150-ე, 150^1, 151-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, 152-ე, 152^2, 153^4, 159-ე, 159^1, 179^2 მუხლებისა და საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-80 მუხლის საფუძველზე და/ან უზრუნველყოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენელთა მიერ აღნიშნული საკითხების ორგანიზება;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**